

ენა და კულტურა, #4

თბილისი • 2003

გვ. 136-142

#136

ანა ხარანაული

ბიბლიის თარგმანის ხასიათი და მისი შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები

როდესაც ბიბლიის სხვადასხვაენოვან თარგმანებსა და მათ რედაქციებს კითხულობ, სიტყვასიტყვით ადარებ ერთმანეთს, წვრილმანებს უკვირდება და იმასაც ცდილობ, რომ ტექსტის ხმოვანება არ დაგეკარგოს, გგონია, რომ იცნობ მთარგმნელებს. მაგრამ, როცა გინდა, რომ ისინი სხვებსაც გააცნო, პორტრეტის შტრიხები ხელში გადნება. მერე ისევ ხელნაწერებს უბრუნდები და ისევ ნაცნობ სახეებს ხედავ.

ანალიტიკური აზროვნების გულუბრყვილო ლტოლვაა დეტალებში აღწეროს შემოქმედების აქტი. მაგრამ რა ქნას ანალიტიკურმა გონებამ?!..

იმის საფუძველზე, რაც „თარგმანის ტექნიკაზე“ დაწერილა და ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ბიბლიის თარგმანებზე მუშაობისა, ამ ატატიში მინდა, რომ მთარგმნელთა ამოცნობის ისეთი ზოგადი ხერხები წარმოვადგინო, რომელთაც წმინდა წერილის ქართული თარგმანის შესასწავლად ვიყენებ.

თარგმანის ტექნიკა, ა. ემელეუსის დაკვირვებით, შეისწავლის მთარგმნელის ნამუშევრის საბოლოო სახეს და არის კოლექტიური სახელი მთარგმნელის მიერ გამოყენებული გამოხატვის სხვადასხვა საშუალებისათვის¹.

თარგმანის ტექნიკას ორი თვალსაზრისით იკვლევენ: როგორც ობიექტს კვლევისა და როგორც მეთოდს². პირველ შემთხვევაში ჩვენ გამოვდივართ იმ აზრიდან, რომ მთარგმნელებს აქვთ თარგმანის გარკვეული მეთოდი (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი) და შევისწავლით ამ მეთოდს ტექნოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ამასთან, ვითვალისწინებთ როგორც განსხვავებებს დედნისგან, ისე მსგავსებებს. მეორე შემთხვევაში თარგმანის ტექნიკა, რომელზეც ჩვენ გარკვეული

¹ Translation Technique cannot be anything more than a collective name for all the different renderings used by a translator. Study of translator technique aims at describing the end-product of the translator's work: A. Aejmelaeus, Translation Technique and the Intention of the Translator, კრებულში. On the Trail of the Septuagint Translators, collected Essays, Pharos 1993, 69.

² Aemelaeus, On the Trail..., 1-4

შეხედულება უკვე ჩამოგვიყალიბდა, მეთოდია, რომლის დახმარებითაც ხდება თარგმანის ტექსტოლოგიური კვლევა - თავდაპირველი და მეორეული ვარიანტების დადგენა, გარკვეული ფორმების ახსნა, აღდგენა და ა.შ.

თარგმანს უხეშად ორი, ერთმანეთის დაპირისპირებული კატეგორიებით ახასიათებენ: როგორც თავისუფალს და როგორც ლიტერალურს, ანუ სიტყვასიტყვითს³. თარგმანის ტექნიკა სწავლობს წონასწორობას დედნის თავისუფალ და სიტყვასიტყვით გადმოცემას შორის.

მიიჩნევა, რომ ლიტერალური თარგმანი ფორმალური დეტალებითაა დაინტერესებული, ე.წ. ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვით. თავისუფალი თარგმანი კი აზრის გამოხატვას ესწრაფვის. დინამიკური ეკვივალენტურობის მომხრეა⁴. ესეც პირობითი განსაზღვრებაა თარგმანის ფორმებისა, თუმცა კვლევისათვის ამოსავალ პუნქტად შეიძლება გამოვიყენოთ. ამ განსაზღვრების თანახმად შეიძლება ვთქვათ, რომ თავისუფლად მთარგმნელი მთელ კონტექსტს ისე აღიქვამს, როგორც ერთ სათარგმნ ერთეულს, ერთ სემანტს და მთლიანობაში ცდილობს მისი სემანტიკის გადმოცემას, დეტალების გადმოტანა მისინტერესში არ შედის. სიტყვასიტყვითი მთარგმნელი კი (აქ თარგმნის პრინციპზე ვლაპარაკობთ და არა მის პრაქტიკულ შედეგზე), რომლისთვისაც არა მარტო კონტექსტის აზრი, არამედ მისი გამოხატველი თითოეული დეტალიც კი უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ კონტექსტს სემანტად ყოფს და ისინი მიმდევრობის, რაოდენობის, ფორმისა და ლექსიკური მნიშვნელობის დაცვით გადმოაქვს. სემანტაციას იგი სამ დონეზე ახდენს: ფრაზის, სიტყვისა და სიტყვის დონის ქვეშ. რაც უფრო ღრმად ხდება ტექსტის სემანტაცია და, რაც უფრო რეგულარულია ყოველი სემანტის გადმოცემა, მით უფრო სიტყვასიტყვითია თარგმანი.

სიტყვასიტყვითი თარგმანის პრინციპები ვარიანტების დიდ საშუალებას არ იძლევა და მთარგმნელის ინდივიდუალურობის გამოძღვანებაც ასეთ შემთხვევაში ნაკლებ შესაძლებელია. მთარგმნელის ინდივიდუალობა ტექსტში იქ იჩენს თავს, სადაც სათარგმნი ერთეული თავისუფლად არის გადმოცემული. ემელეუსის სიტყვებით: ტექსტის „თავისუფალი გადმოცემა თითის ანაბეჭდს ჰგავს, რომელიც მთარგმნელმა დატოვა. თითის ამ ანაბეჭდით შესაძლებელია მთარგმნელის გაცნობა, მისი სამუშაო ჩვევების, ორიგინალთან დამოკიდებულებისა და მთარგმნელობითი ტალანტის აღწერა“.⁵

სიტყვასიტყვითი თარგმანები, რომლის ყველაზე ცნობილი ნიმუშები ბიბლიის თარგმანებია, ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში საზოგადოდ ცუდი ენის მაგალიტებად მოიყვანება.

³ J. Darr, *The Typology of Literalism in ancient biblical translation*, MSU XV, Göttingen 1979, 279-284.

⁴ ტერმინებისათვის - „დინამიკური“ და „ფორმალური ეკვივალენტები“, იხ. E. A. Nida, *Towards a Science of Translating*, Leiden 1964, 165-176.

⁵ Free renderings are like fingerprints that Translations have left behind them. By these fingerprints it is possible to get to know them and to describe their working habits, their actual relationship with the original, and their talent as translators: Aejmelaeus, *The Significance of Clause Connectors in the Syntactical and Translation-technical Study of the Septuagint, On the Trail...*, 50.

მათზე ამბობენ, რომ მონურად მისდევენ სათარგმნ წყაროს, ძალადობას ახდენენ მშობლიურ ენაზე და ამ უკანასკნელის იდიომას დედანთან სიახლოვეს სწირავენ.⁶ ქართველ მკვლევართა სიტყვებით, სიტყვასიტყვით თარგმანებს „დაკარგული აქვს ქართული სული, ქართული შეგნება და ქართული სახეები“.⁷ შეფასების ეს კრიტერიუმები, ჩემი აზრით, ორიგინალური ძეგლების მიმართ უნდა იქნას ნახმარი და მათი გამოყენება ბიბლიის თარგმანის კვალიფიკაციისთვის სწორი არ უნდა იყოს: ბიბლიის მთარგმნელები (სხვადასხვა ენაზე მთარგმნელები მყავს მხედველობაში) არასოდეს ესწრაფოდნენ „შემოქმედებით თავისუფლებას“, მათი მიზანი ყოველთვის წყაროსთან მაქსიმალური სიახლოვე იყო, რაც დედნის არამართო სემანტიკური, არამედ ფორმალური სიზუსტით გადმოტანასაც გულისხმობდა. თარგმანს მკითხველი ორიგინალისთვის უნდა დაებრუნებინა, მკითხველისათვის ორიგინალის კითხვის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა.⁸ ბიბლიის თარგმანს სწორედაც რომ უნდა დაეკარგა ქართული სახეები და ქართული სული (თუმცა გაუგებარია, მკვლევართა მიერ კონკრეტულად რა იგულისხმება ამ სიტყვის ქვეშ) და მისთვის ბიბლიური სახეები, ბიბლიური შეგნება და ქრისტიანული სული უნდა ჩაენაცვლებინა. სწორედ ეს იყო ბიბლიის თარგმნის აზრი.⁹ თუმცა შედეგები, რომელთაც მთარგმნელები (უფრო მეტად კი გვიანდელი რედაქტორები) აღწევდნენ, მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მთარგმნელის ნიჭიერებისა და იმის შესაბამისად, თუ თარგმანის რამდენხნაიანი ტრადიცია ედო მას წინ.

ბიბლიის თარგმანები, პრინციპში, მართლაც ლიტერატურული თარგმანებია. მაგრამ ზედაპირულ მსჯელობას რომ ავცდეთ, აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ზუსტი და სიტყვასიტყვითი (ბუკვალური, ლიტერალური) თარგმანი და ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებით „სიზუსტე“ სიტყვის მნიშვნელობა უნდა გავარკვიოთ.

იმ წყაროთა მიხედვით, რომლებიც წმიდა წერილის ბერძნული, ქართული და სლავური თარგმანების შესახებ მოგვითხრობენ,¹⁰ ადეკვატურობა და სიზუსტე თარგმანის მიმართ

⁶ Soialon-Soininen, Übersetzen – der Sprache Gewalt antun, VIII Congress of the International Organisation for Septuagint and Cognate Studies, Paris 1992, ed. K. Greenspoon, O. Munnich, 67. ასეთ თარგმანების (თუ რედაქციების) უკიდურესად გამოვლენილ ფორმად ბერძნული ბიბლიის შემთხვევაში აკვილას თარგმანი ითვლება, ქართული ბიბლიის შემთხვევაში კი - გელათური რედაქცია.

⁷ შდრ.: „ებრაული ორიგინალისადმი ერთგულებამ აკვილას ბარბაროსული ბერძნული შეაქმნევინა: (Aquila... who composed barbarous Greek is an attempt to be faithful to the Hebrew original): Nida, Science of Translating, 23.

⁸ ამის შესახებ იხ. R. Hanhart, Die Bedeutung der Septuaginta-Forschung für die Theologie, S. Jellicoe (ed.), Studies in the LXX, 1975, 883-609; R. Hanhart, Fragen um die Entstehung der LXX, კრებულში Studien zur Septuaginta und zum hellenistischen Judentum, 1999, 3-24.

⁹ იხ. ა. ხარანაული, წმიდა წერილის თარგმანები (თარგმანის ისტორია, მთარგმნელები, თარგმანის ენა), რწმენა და ცოდნა, #2(6) 2001, 10-24; #3(7) 2001, 10-21.

¹⁰ ფილონ ალექსანდრიელი, იოსიპოს ფლავიოსი, იუსტინე ფილოსოფოსი, ირინეოსი, არისტობულე, კლიმენტი ალექსანდრიელი, ტერტულიანე, ევსევი კესარიელი, პასქალური ქრონიკა, გიორგი სვინკელოსი, იერონიმე, ავგუსტინე, კირილე იერუსალიმელი, იოანე ოქროპირი, ეპიფანე კვიპრელი, თეოდორიტი კვირელი, ექვთიმე ზიგაბენი, კირილესა და მეთოდეს ცხოვრება. წყაროები იხ. Aristeae ad

წყენებული უპირველესი პირობა იყო: წმიდა წერილი ღვთის სიტყვაა და ყველა ენაზე „მასვე და ერთსა უნდა ჰმეტყველებდეს“ („ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება“). არისტოტელის წერილში საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ ბერძნული ბიბლიის თარგმნის ინიციატორი, პტოლემეოს ფილადელფოსი, ამის შესახებ თავიდანვე უთანხმდება მღვდელმთავარ ელეაზარს, რომელსაც მთარგმნელები უნდა შეერჩია. თარგმანის დასრულების შემდეგ ეს სიზუსტე გულდასმით მოწმდება.¹¹ ფილონიც განსაკუთრებით უსვამს ხაზს მთარგმნელების წინაშე დაყენებულ ამ ამოცანას: მთარგმნელებს არც არაფერი უნდა დაემატებინათ, არც არაფერი დაეკლოთ, არამედ თავდაპირველი სახე და ფორმა უნდა დაეცვათ. ფილონი იმასაც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეასრულეს მთარგმნელებმა ეს ამოცანა: თუ ვინმე ებრაელი ბერძნული ენის შესწავლას განიზრახავდა, ანდა ბერძენი - ებრაული ენისა და ამ ორ ტექსტს წაიკითხავდა, იფიქრებდა, რომ ეს ორი ერთმანეთის და-ენაა, ან უფრო ზუსტად, რომ ერთი და იგივე ენაა როგორც საქმით, ისე სიტყვითაც,¹² ან როგორც სემანტიკურად, ისე გამოხატვის ფორმით. თარგმანის სიახლოვეს მის დედანთან სხვა წყაროებიც აღნიშნავენ საგანგებოდ. წყაროებს ის ფაქტიც ემოწმება, რომ წინაქრისტიანულ ხანაში სეპტუაგინტა ორიგინალის ფუნქციას ასრულებდა ებრაულ დიასპორებში, რაც, ცხადია, მისი და ებრაული დედნის ადეკვატურობის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. მაგრამ რას ნიშნავს თარგმნის სიზუსტე - აზრის, სათქმელის გადმოცემის სიზუსტესა თუ ბუკვალურ შესატყვისობას? რის წინაშე გრძნობს მთარგმნელი მეტ პასუხისმგებლობას - დაწერილი სიტყვის თუ ნაგულისხმევი აზრის?

რაბინიზმი „სიზუსტის“ ქვეშ უეჭველად ბუკვალურ სიზუსტეს გულისხმობს. ამის ნათელი მაგალითი რაბინი აკიბაა, მწიგნობართა წრიდან გამოსული მოღვაწე ქრისტეს შობიდან II საუკუნეში, რომლისთვისაც წმიდა იყო წმიდა წერილის ყოველი ასო და მისი მოწაფე, ძველი აღთქმის ბერძნულ ენაზე მთარგმნელი, აკვილა, რომელიც თავისი მასწავლებლის კვალდაკვალ ტექსტის სემანტიკას ასოებში და ეტიმოლოგიებში ეძებდა. მასორეტული ტექსტის დამდგენები ამ პოზიციას საუკუნეების მანძილზე ხვეწდნენ და ახორციელებდნენ: ტექსტის უცვლელობისა და სიზუსტის გარანტი სწორედ მასორა იყო - კომენტარები, რომლებსაც იგივე რაბინი აკიბა „სჯულის დამცავ გალავანს“ უწოდებს.

ამგვარ, ბუკვალურ სიზუსტეს ბიბლიის პირველი მთარგმნელები არ მიჰყვებოდნენ და ამ მოთხოვნას მათ არც არავინ უყენებდა. ძველი აღთქმის ეკლესიისთვის მწიგნობრული ფორმალიზმი უცხო და მიუღებელი იყო. ზუსტ თარგმანს მისთვის ღვთის სიტყვის სემანტიკის სიღრმეების ზუსტი გადმოცემა, ზუსტი და სწორი ღვთისმეტყველება წარმოადგენდა. ასეა შემდგომშიც: კლიმენტი ალექსანდრიელი საგანგებოდ განმარტავს, რომ თარგმანისას ამოსავალი არ უნდა იყოს სიტყვები და უბრალოდ ბგერები, რადგანაც სიტყვათა

Philocratem epistula cum ceteris de origine versionis LXX interpretum testimonies, ed. P. Wedland, TB. Leipzig 1900; Lettre d' Aristee a Philocrate, ed. A. Pelletier, Sources Chretiennes, 89, 1962.

¹¹ Pelletier, 38-39, 301-306.

¹² Wendland, testimonies, 94.

ორაზროვნებიდან თუ გამოვალთ, შესაძლოა სწორედ ის დაიკარგოს, რაც ამ სიტყვებს უნდა აღენიშნათ, მთარგმნელის საქმეა უმცირეს დეტალებში გახსნას წმიდა წერილის არსი. გრიგოლ ნოსელიც თვლის, რომ წმიდა წერილის ღვთივკურთხეულობა მის ასოებში არ მდგომარეობს და ამიტომაცაა შესაძლებელი არათუ მისი სხვადასხვა ენაზე თარგმნა, არამედ სიტყვების შენეცვლებაც, რადგანაც სიტყვა ადამიანური არჩევანის საგანია. ასეთივე პოზიცია უკავია ნეტარ ავგუსტინესაც: მისთვის სიტყვა მხოლოდ *signum*- ნიშანი, აღმნიშვნელია და არა *res*-საგანი, საგნის არსი.¹³

ბიბლიის თარგმანი „ხატის ზუსტი ასლი“¹⁴ უნდა ყოფილიყო, მას, მხოლოდ ასეთს შეეძლო ყოფილიყო ღვთის სიტყვა და მოეპოვებინა წმიდა წერილის ავტორიტეტი. ბიბლიის თარგმანები დედნის ადეკვატური, ზუსტი ხასიათის თარგმანებია. ზუსტია, პირველ ყოვლისა, არსის გადმოცემის თვალსაზრისით და სიტყვასიტყვითაა მაქსიმალურად, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ენათა შორის ხვაობა იძლევა. რაც შეეხება თავისუფალ თარგმანს ბიბლიის შემთხვევაში: იგი შეფარდებითი ცნებაა, რადგან თარგმანის თეორიის დღევანდელი კრიტერიუმებით ბიბლიის ყველაზე თავისუფალი თარგმანიც კი სიტყვასიტყვითი ხასიათისაა¹⁵. და როდესაც ჩვენ ბიბლიის თარგმანის ხასიათზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მხოლოდ ლიტერალური თარგმანის სხვადასხვა ხარისხს. წმიდა წერილის მეტად ლიტერალურ თარგმანს სიტყვასიტყვითს ვუწოდებთ, ნაკლებად ლიტერალურს კი - თავისუფალს.

მაგრამ ბიბლიის თარგმანებმა განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარეს. როდესაც ჩვენ წმიდა წერილის პირველი თარგმანის მეთოდზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ მთარგმნელი იყენებდა თარგმანის გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებულ თარგმანის მეთოდს. ჩვენ მხოლოდ იმ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც თავადვე გამოვყოფთ ტექსტში.¹⁶ თარგმანის პირველ ეტაპზე მთარგმნელების ამოცანა ცხადი და მარტივი იყო: ზუსტად ეთარგმნათ ღვთის სიტყვა.¹⁷ რაში უნდა გამოხატულიყო ეს სიზუსტე და რა ხარისხისა უნდა ყოფილიყო იგი, ეს საგანგებო თეორიული განსჯის საგანი ალბათ არც ყოფილა, მთარგმნელები ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის ირჩევდნენ თარგმანის პრინციპს.¹⁸ ბიბლიის თავდაპირველ მთარგმნელებს არ ჰქონდათ თარგმანის

¹³ Augustinus, De doctrina Christiana, 2, 5-6

¹⁴ Getreues Abbild des Urbildes: Hanhart, Die Bedeutung ... 609.

¹⁵ მე არ ვგულისხმობ პერიფრაზულ თარგმანებს, ან ე.წ. მოკლე რედაქციას, რომელთა წარმოშობაც და დანიშნულებაც, როგორც ბერძნულში, ისე ქართულში გარკვეული არაა.

¹⁶ Aejmelaeus, Translation Technique and the Intention of the Translator, On the Trail..., 67

¹⁷ რადგან წყაროებში ყოველთვის ხაზი ესმევა მთარგმნელთა ღმრთივშთაგონებულობას, არასწორად მიმაჩნია იმის შენიშვნა, რომ ზუსტი თარგმანი თავისუფალი თარგმანისათვის დამახასიათებელი სუბიექტური ინტერპრეტაციებისაგან თავის დაზღვევა იყო მთარგმნელთა მხრიდან.

¹⁸ მაგრამ მე არ ვგულისხმობ *ad hoc*, სიტყვების ერთმანეთის მიყოლებით, მექანიკურ თარგმნას მოკლე სათარგმნ მონაკვეთებში, როგორც ეს წარმოუდგენიათ ხოლმე. მაგ. იხ. Soisalon-soininen Beobachtungen zur Arbeitsweise der Septuaginta-Übersetzer, Studien zur Septuaginta-Syntax, Helsinki 1987, 28-40. ამგვარი მიდგომის წინააღმდეგ. A. van der Kooij, Zur Frage der Exegese im LXX Psalter. Ein Beitrag zur

ტექნიკა, როგორც გააზრებული მეთოდი, რომელსაც ისინი წინასწარ შეიმუშავებდნენ და სისტემატურად გამოიყენებდნენ.¹⁹ ერთადერთი კრიტერიუმი მთარგმნელისათვის შინაგანი დაჯერებულობაა - შინაგანი სარწმუნოობის გრძობა იყო. ამ გრძობას მათ გარეგანი სიტყვის შინაგანი სიტყვასთან თანხმობა სძენდა. ძველი მთარგმნელები თარგმნიდნენ ისე, როგორც მათ „სული წმიდად მოსცემდა“. მაგრამ მეცნიერებაშიამგვარი კატეგორიებით არ ოპერირებენ. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ინტერესის საგანი კვლევის მასალად ვაქციოთ, მოვახდინოთ მისი ანალიზი და გამოვყოთ კატეგორიები გაანალიზებული მასალის დასაჯგუფებლად. ასე თუ მივუდევით უძველესი თარგმანის დახასიათებას, მას შეიძლება „სპორადული“ ვუწოდოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში „სპორადულად“, შიგადაშიგაა გამოვლენილი როგორც სიტყვასიტყვითი ისე თავისუფალი თარგმანისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

თუმცა ის, რომ პირველ მთარგმნელებს არ ჰქონიათ რაიმე ფილოსოფია თარგმანისა, ან წინასწარ შეიმუშავებული მეთოდი, არ გამორიცხავს მათი წინასწარ აღებულ, ზოგადი არჩევანის არსებობას თავისუფალ და ლიტერალურ თარგმანს შორის. ერთ-ერთი მოტივი, რომელიც ამ არჩევანს განაპირობებდა, სათარგმნი ტექსტის ხასიათი უნდა ყოფილიყო. სჯული უფრო სიტყვასიტყვით გადმოჰქონდათ. ნარატიული ხასიათის ისტორიული წიგნები - უფრო თავისუფლად²⁰ (მაგ., როგორც ფიქრობენ, ის, რომ მეფეთა ბერძნულმა თარგმანმაცა და ქართულმაც შემდგომში უამრავი რედაქციული ცვლილება განიცადა, შეიძლება სწორედ თავდაპირველი თარგმანის თავისუფალი ხასიათით ყოფილიყო გამოწვეული).

ასევე, მთარგმნელს არჩევანი უნდა გაეკეთებინა კონკრეტულ შემთხვევაშიც, მაგ. მრავალპლასტიანი ადგილების ე.წ. „ბუნდოვანი ადგილების“ გადმოტანისას, რომლებიც ერთმნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელნი არ არიან. ასეთი ადგილები მთარგმნელს ან სიტყვასიტყვით უნდა გადმოეცა, თითოეული სემენტი ცალ-ცალკე და არ დაეკარგა სხვადასხვა სემანტიკური დონე ტექსტისა. სამაგიეროდ კი, ერთი წაკითხვით ბუნდოვანი წინადადება მოეცა, ანდა თავისუფლად უნდა ეთარგმნა ტექსტი, ზედაპირული თვალსაზრისით გაემარტივებინა, სამაგიეროდ კი დაეკარგა კონტექსტის მთელი სიღრმე.

მაგრამ იყო ფაქტორებიც, რომლებიც გაუცნობიერებლად მოქმედებდა თარგმანზე, მაგ. თარგმანის ენა და მისი თავსებადობა სათარგმნი ტექსტის ენასთან: ლიტერარიზმის დონე სათარგმნი ენის საშუალებებს შეესაბამებოდა.

ასე რომ, როგორც ჩანს, პირველი თარგმანები უფრო ინტიუციური ხასიათისა იყო. შემდგომში როდესაც ინტუიციური ჭკრეტა ანალიტიკურმა აზროვნებამ შეცვალა და

Verhältnisbestimmung zwischen Original und Übersetzung, კრებულში: Der Septua-ginta-Psalter und seine Tochterübersetzungen, Göttingen 2000, 366-380.

¹⁹ Aejmelaeus, On the Trail..., 2; როგორც Barr-იც აღნიშნავს, ლიტერალიზმი არ არის მთარგმნელის პოლიტიკა (policy), იგი მისი მარტივი ტექნიკაა (easy technique) (Barr, Typology 26).

²⁰ S. Olofsson, The Septuagint Version. A Guid to the Translation Technicue of the Septuagint, Stockholm 1990, 8-11.

ბიბლიის ტექსტი პოლემიკის იარაღი გახდა²¹ (ბერძნული და ლათინური ტექსტი - ებრაელების წინააღმდეგ, ქართული თარგმანები ბერძნების დასარწმუნებლად ქართველთა რწმენის ჭეშმარიტებაში), თარგმანის დედანთან სიახლოვე უკვე ისეთ პრინციპად იქცა, რომელიც კონკრეტულ დეტალებში გამოიხატა. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელ თარგმანებსა თუ რედაქციებში ნახმარი თარგმნის არცერთი პრინციპი სიახლეს არ წარმოადგენს, მათ ადრინდელ თარგმანებში უხვად ვაწყდებით, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ იქ ეს პრინციპები, როგორც ვთქვით, სპორადულადაა გამოყენებული. შემდგომში კი - უკვე განვითარებული, დახვეწილი სახით და რეგულარულად. ბიბლიის თავისუფალი თარგმანი სიტყვასიტყვითისაგან პრინციპებით კი არ განსხვავდება, არამედ იმით, თუ რამდენად სისტემატურადაა ეს პრინციპები გატარებული.²² თარგმანის მრავალხიანი ტრადიციამ, უკვე აპრობირებულმა, სინტაქსურმა, მორფოლოგიურმა და ლექსიკურმა ეკვივალენტებმა ახალ რედაქტორებსა და მთარგმნელებს ამ პრინციპის უფრო სისტემური და ბუნებრივი განხორციელების საშუალება მისცეს: ტექსტის განვითარების მომდევნო ეტაპზე ტენდენცია თარგმანის ფორმალური სიზუსტისაკენ უფრო ღრმავდებოდა და მთარგმნელები უფრო მეტ საშუალებას პოულობდნენ საკუთარ ენაში ამ პრინციპის გამოხატვისა. ბიბლიის თარგმანისათვის დამახასიათებელი ეს გზა - შედარებით თავისუფალიდან შედარებით სიტყვასიტყვითი თარგმანისაკენ - როგორც ჩანს, გაიარეს ქართულმა ტექსტებმაც. თარგმანისა თუ რედაქტირების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ამოცანა იყო გადასაჭრელი და ამდენად, მთარგმნელ-რედაქტორებიც სწორედ იმის მიხედვით უნდა შევავსოთ თუ როგორ ახერხებდნენ ისინი თავიანთ წინაშე დასმული კონკრეტული პრობლემის დაძლევის და როგორ ახორციელებდნენ თარგმანის არჩეულ პრინციპებს.

ამრიგად, ბიბლიის სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანები ერთმანეთისაგან მხოლოდ სიზუსტის ხარისხით განსხვავდებიან. ეს სიზუსტე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფართოდ ესმით მთარგმნელებს სათარგმნი ერთეული, სათარგმნი სემანტი. როგორც ვთქვით, მთარგმნელისათვის ასეთი შეიძლება მთელი კონტექსტი იყოს. მაშინ იგი ამ კონტექსტს მისი დეტალიზაციის გარეშე, მთლიანობაში გადმოსცემს. ეს თარგმანის უკიდურესად თავისუფალი სახეა. ბიბლიის ხელნაწერებში, როგორც ბერძნულში, ისე ქართულში ასეთ ტექსტებსაც ვხვდებით²³ და მათ პერიფრაზებს ვუწოდებთ. ზუსტი მთარგმნელი ავიწროებს სათარგმნი სემანტიკის მოცულობას. სემანტად მას მიაჩნია 1. ფრაზა, რადგან უნდა გადმოსცეს მისი სემანტიკაცა და ფორმაც (სინტაქსური სტრუქტურაც), 2. სიტყვა, ამასთან დამხმარე სიტყვებიც, მათი სემანტიკაცა და მორფოლოგიური სტრუქტურაც

²¹ ჰარჰარტი აკვილას თარგმანის წარმოშობას ანტიქრისტიანულ პოლემიკას კი არა, არამედ პალესტინური და „ელინისტური“ იუდაიზმის დაპირისპირებას უკავშირებს (Hanhart, Die Bedeutung..., 600ff).

²² თუმცა აქაც უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს სისტემურობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის მთარგმნელი თუ რედაქტორი ამა თუ იმ მთარგმნელობითი პრინციპის დაცვას ცდილობს და სრულებითაც არა იმას, რომ იგი ამ პრინციპს განუხრელად იცავს.

²³ მაგ. მოკლე რედაქციები, იხ. ცინდელიანი უ., ერთი რედაქციული თავისებურების გამო მეფეთა წიგნებში (მოკლე რედაქცია), მრავალთავი, X, 1983, 50-74.

და 3. სიტყვის შემადგენელი ნაწილები. მთარგმნელის ამოცანაა ეს სათარგმნი სეგმენტები ადეკვატურად გადმოსცეს ან თარგმანის ენაში არსებული ეკვივალენტებით, ან თვითონ უნდა შექმნას ეს ეკვივალენტები.

სათარგმნი სეგმენტის ადეკვატური გადმოცემა გამოიხატება:²⁴

1. **სინტაქსურ, მორფოლოგიურ თუ ლექსიკურ** სეგმენტთა (მათ შორის პლეონაზმები) ეკვივალენტების სემანტიკურ და ფორმალურ სიზუსტეში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დონის სათარგმნი სეგმენტი თარგმანში თავისი შესაბამისი, ზუსტი ეკვივალენტით უნდა იყოს წარმოდგენილი. თუმცა, ეს სიზუსტე ყოველთვის აბსოლუტურად განხორციელებადი არ არის. მაგ., სიტყვის დონეზე განხორციელებული სემანტიკური სიზუსტე იდიომებში: იდიომის შემადგენელი ლექსიკური ერთეულების პირველადი მნიშვნელობით გადმოტანა შეიძლება იდიომის სემანტიკურ სიზუსტეს არღვევდეს ან პირიქით - იდიომის სემანტიკის ზუსტ გადმოცემას შესაძლებელია ეწირობოდეს მისი შემადგენელი ცალკეული ლექსიკური ეკვივალენტის სემანტიკური სიზუსტე. ასევეა ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვის შემთხვევაშიც. მაგ., რომელიმე სინტაქსური კონსტრუქციის ფორმალურად ზუსტი გადმოცემა ფორმალურ უზუსტობებს შეიძლება იწვევდეს ამ კონსტრუქციის შიდა დეტალების გადმოცემისას. ასევე, სემანტიკური სიზუსტე შეიძლება ფორმალური უზუსტობის გამომწვევი იყოს და პირიქით: მაგ. კომპოზიტის შემთხვევაში მისი შინაარსის გადმოცემა შეიძლება ვერ მოხერხდეს ცალკეული შემადგენელი ნაწილის ფორმალური გადმოცემის მიზეზით, მეორე მხრივ კი, მთელის სემანტიკის გამოხატვის სურვილმა შეიძლება ცალკეულის მიმართ თავისუფალი თარგმანის აუცილებლობა წარმოშვას. ამას გარდა, თუ მთარგმნელის ინტერესი უფრო ტექსტის სემანტიკური სიზუსტის დაცვაშია, იგი სეგმენტთა ფორმალური გადმოცემისას მეტ თავისუფლებას იჩენს, ხოლო როდესაც მას ტექსტის ფორმალური მხარის ზედმიწევნით ზუსტი გადმოცემა სურს, შეიძლება სემანტიკური მხარე დარჩეს ბუნდოვანი და მაშინ თარგმანი ამ თავლასაზრისით იქნება თავისუფალი. რედაქტორ-გამსწორებელთა კვალი პირველ რიგში სწორედ ლექსიკური ეკვივალენტების სემანტიკურ დახვეწას ეტყობა ხოლმე (მაგ. აკვილა). ამდენად, რადგანაც ზუსტი სინტაქსური თუ სემანტიკური ეკვივალენტურობა თარგმანში აბსოლუტურად განხორციელებადი არაა, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ტენდენციებზე რომელიმე მიმართულებით.

2. თარგმანის ადეკვატურობა გამოიხატება სეგმენტთა რაოდენობის დაცვაში (ამ კრიტერიუმის განხორციელება წინა კრიტერიუმის განხორციელებაზეა დამოკიდებული):

²⁴ ჯ. ბარი ებრაული ბიბლიის მეტად და ნაკლებად ლიტერალური თარგმანების განმასხვავებელ შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფს: 1. ელემენტებად და სეგმენტებად დაყოფა და მიმდევრობა, რომლითაც ეს ელემენტებია წარმოდგენილი; 2. ელემენტების რაოდენობრივი მატება და კლება; 3. ეკვივალენტების მყარობა და არამყარობა; 4. სემანტიკური ინფორმაციის სიზუსტე და დონე; 5. ორიგინალის ენის ლექსიკონში არსებული ფორმალურ/სემანტიკური მიმართულებების კოდირებული „ეტიმოლოგიური“ აღნიშვნები; 6. ტექსტის დონე და ანალიზის დონე.

გარდა იმისა, რომ დედნის ყოველ სეგმენტს (სიტყვის დონის ქვეშაც) თარგმანში საკუთარი ეკვივალენტი უნდა ჰქონდეს, თარგმანის ყოველ ცალკეულ სეგმენტსაც სათარგმნი ტექსტის ერთი სეგმენტი უნდა შეესაბამებოდეს. ამ პრინციპის, ერთი ერთზე შესაბამისობის განხორციელება, ცხადია, ყოველთვის შესაძლებელი არ არის. თარგმანის ენა ხანდახან დედნის ერთი სიტყვის რამდენიმეტი გადმოცემას საჭიროებს, მაგ. ინფინიტური კონსტრუქციები ქართულში ხშირად უფრო ვრცლად - დამოკიდებული წინადადებებით გადმოდის. უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც, დედანი ლაკონურად გადმოიცემა, რაც სეგმენტების გამოტოვებაში მდგომარეობს (მაგ. პლეონაზმების შემთხვევაში). თუ მთარგმნელი ცდილობს სეგმენტთა რაოდენობის დაცვას და ამ დროს იგი საკუთარი ენის ბუნების წინააღმდეგაც კი მიდის, მაშინ იგი სიტყვასიტყვითი თარგმანის კრიტერიუმს ზედმიწევნით ასრულებს, და პირიქით, როდესაც მტარგმნელი სეგმენტთა რაოდენობას ზრდის ან ამცირებს საკუთარი ენის მოთხოვნების, ანდა, მითუმეტეს, სტილისტური ან ეგზეგეტიკური მოსაზრებებით, იგი თავისუფალი თარგმანისაკენ უფრო იხრება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სეგმენტთა რაოდენობის ცვლა ბიბლიის თარგმანებში არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს შინაგანი თუ გარეგანი ინფორმაციის მოკლებას ან დამატებას, იგი იმ ინფორმაციის გახსნას ემსახურება, რომელსაც სათარგმნი ტექსტი შეიცავს თავის ყველა პლასტში. ტექსტის რედაქცია სეგმენტთა რაოდენობრივი გათანაბრების თვალსაზრისით პირველი რიგის სამუშაოა რედაქტორებისათვის, რომლებიც თარგმანის დედანთან დაახლოებას ისახავენ მიზნად. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ წმ. წერილში გამოტოვებას.²⁵

3. თარგმანის სიზუსტეზე მეტყველებს აგრეთვე სწრაფვა სეგმენტთა მიმდევრობის (მათ შორის სიტყვის დონის ქვეშაც) დაცვისაკენ. უმეტესად სწორედ სიტყვათა მიმდევრობა წინადადებაში ქმნის თარგმანის ენობრივ ქსოვილს, ტექსტის რიტმს და ბიბლიის ენასაც ძირითადად იგი აყალიბებს. ამიტომაც, ტექსტის ქარგის დარღვევის წინაშე სიფრთხილის გამო, შემდგომი რედაქტორები უფრო იშვიათად ასწორებენ ტექსტს ამ კუთხით. თარგმანის ხასიათის შეფასებისთვის ამ კრიტერიუმის გამოყენებისას ისევ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თარგმანის ენის რესურსები, ის, თუ რამდენად თავისუფალია ამა თუ იმ ენაში სიტყვათა რიგი.

4. თარგმანის ხასიათის დადგენის ერთ-ერთი კრიტერიუმია მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური ეკვივალენტების სიმყარე.²⁶ ზუსტი თარგმანი ცდილობს ერთხელ ზუსტად

²⁵ ამიტომაც ორიგენე იმ სიტყვებს, რომლებიც ებრაულში არ იყო, კი არ გამოტოვებდა, არამედ ასტერიქსით აღნიშნავდა, ხოლო სექტუაგინტაში ებრაულის არარსებულ შესატყვისობებს ბერძნულ ტექსტში ამატებდა და გამოსარჩევად მათ ობელოსს უსვამდა.

²⁶ სხვებისაგან (Barr, the Typology of Literalism in ancient biblical translation, MSU XV, Göttingen 1979; A. Tov, B. G. Wright Computer-assisted Study of the Criteria for Assessing the Literalness of Translation Units in the LXX, Textus XII, Jerusalem 1985; B. G. Wright, the Quantitative Representation of elements: Evaluating "Literalism" in the LXX, VI Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies, ed. C. E. Cox, 311-335) განსხვავებით, სოისალონ-სოინინენს არ მიაჩნია, რომ ეს კრიტერიუმი თარგმანის მეთოდის

მომეზნილი ეკვივალენტის სისტემატურ გამოყენებას, მაშინ როდესაც თავისუფალი თარგმანი გადმოცემის სინონიმური საშუალებებით ვარირებს. ბიბლიის მთარგმნელთაგან ყველაზე აშკარად ტენდენცია ეკვივალენტების სიმყარისაკენ აკვილასთან მჟღავნდება, რომლისთვისაც ისეთი მნიშვნელოვანია ეკვივალენტების დაცვის პრინციპი, რომ არაფრად დაგიდევს აქედან გამომდინარე კონტექსტის აფსურდულ შინაარსსაც.²⁷ მაგრამ იმ დათმობების მიუხედავად, რომელზეც აკვილა თავისი ამ მთარგმნელობითი პრინციპის განსახორციელებლად მიდიოდა, მასთანაც კი უამრავი მაგალითია ლექსიკური ეკვივალენტების ცვლისა.

თუმცა ამ, ეკვივალენტთა სიმყარის კრიტერიუმსაც დიფერენციულად უნდა მივუდგეთ. მაგ. ლექსიკის ის ტიპი (მაგ. Διαθήκη - სჯული ან ἥλιος - მზე), რომელსაც ერთი ძირითადი, და ნათელი მნიშვნელობა აქვს, საშუალებას იძლევა, რომ იგი ერთი ერთზე იქნას გადმოტანილი თითქმის ყველა კონტექსტში და ეს სრულებითაც არ მეტყველებს თარგმანის სიტყვასიტყვით ხასიათზე, რაკი მთარგმნელი არჩევანის წინაშე არა დგას. მთარგმნელის გაცნობიერებულ პრინციპზე, არ შეეცვალოს ეკვივალენტი, არც ის მეტყველებს, რომ სინონიმების არსებობის შემთხვევაშიც კი სათარგმნი ლექსემის ეკვივალენტად მთარგმნელი მხოლოდ ერთ სიტყვას ხმარობს რადგანაც ასევე, მისთვის, სუბიექტურად შესაძლოა სხვა არჩევანი არც არსებობს, რაკი მის პირად ლექსიკონში მხოლოდ ეკვივალენტთა ეს წყვილი არსებობს. გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ვარიანტიც: შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს ორმხრივ შესაბამისობას - სათარგმნი სიტყვა ყოველთვის ერთი და იმავე ეკვივალენტით კი გადმოდის თარგმანში, მაგრამ იგივე ეკვივალენტი სათარგმნი ტექსტის სხვადასხვა სიტყვას შეესაბამება. მაგრამ, თუკი ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ სათარგმნი ენაზე არ არსებობს სხვადასხვა საგნის დიფერენცირების საშუალება (ვთქვათ, მცენარეთა სახელების შემთხვევაში), მაშინ რამდენიმე სხვადასხვა საგანი, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით აღნიშნული სათარგმნი ტექსტში, ერთი სიტყვით გადმოვა და თარგმანის თავისუფალ ხასიათზე არც ეს იმეტყველებს. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს შეეძლო კალკირების გზა აერჩია და მაშინ თარგმანი უკიდურესად სიტყვასიტყვითი იქნება. ამავე პრინციპით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არც მაგ. ბერძნული ინფინიტივის შესაბამისად ქართული მასდარი ხმარება მეტყველებს თარგმანის სიტყვასიტყვითობაზე, რადგან ეს ეკვივალენტი ქართულისათვის მთლად უცხო არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბერძნული ინფინიტივის შესატყვისად არსებობს ქართულისათვის უფრო ბუნებრივი, დამოკიდებული წინადადება, მაშინ მასდარის რეგულარული ხმარება და ტექსტის უპირო ფორმებით გადატვირთვა, რომელიც, ცხადია, არ შეეფერება მთარგმნელობისათვის ბუნებრივ

პრინციპამდე შეიძლება იყოს აყვანილი (Methodologische Fragen, der Erforschung der Septuaginta-Syntax, Studien, 45).

²⁷ იმის სადემოსტრაციოდ, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს მთარგმნელი ეკვივალენტის უზუსტესად გადმოცემისა და ეკვივალენტურობის სიმყარის დაცვის უკიდურესმა მიდევნამ, ჩვეულებრივ აკვილას თარგმნილი შესაქმის პირველივე წინადადება მოაქვთ ხოლმე: ἐν κεφαλα...w œktison qeÖj sUn tÖn oÚ ranÖn kai sŸn t¼an gÁn.

ენას, სიტყვასიტყვითობისაკენ ხრის თარგმანის ხასიათს. ასევე, სემანტიკური სიზუსტის დასაცავად მთარგმნელი იძულებულია პოლისემიური სიტყვები სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვანაირად თარგმნოს და ეს არ მეტყველებს მის თავისუფალ დამოკიდებულებაზე თარგმანისადმი.

ის, რომ თარგმანის პირველ სტადიაზე ეკვივალენტები ნაკლებად მყარია, იმითაც აიხსნება, რომ ლექსიკური და, განსაკუთრებით, სინტაქსური ან ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები აპრობირებული არ იყო, შემდგომ თარგმანებსა და რედაქციებს ამ მიმართულებით თარგმანის სიზუსტის დაცვა უფრო გაადვილებული ჰქონდათ. სექსტუაგინტას შემთხვევაშიც, მაგ. მიიჩნევა, რომ ხუთწიგნეულს შემდგომი თარგმანები, როგორც ლექსიკონს, ისე იყენებდნენ,²⁸ ამითაც შეიძლება აიხსნას ლექსიკური ეკვივალენტთა სიმყარის ზრდა მოგვიანებით თარგმნულ წიგნებში.

ესაა კრიტერიუმები, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ თარგმანის ხასიათზე მსჯელობისას, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, თუ რამდენად დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ მასალა, ამ კრიტერიუმებმა სწორი სურათი რომ მოგვცეს. ვნახეთ აგრეთვე, რომ ეს კრიტერიუმები სხვადასხვა მიმართებაშია ერთმანეთთან, რომ ყველა ამ კრიტერიუმით ერთად კონკრეტულ ხერხებზე დაკვირვება, რომელთაც მთარგმნელი სათარგმნი ტექსტის გადმოსაცემად იყენებს, თავად მთარგმნელთა მოტივების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვევა და მათი ზოგადი მთარგმნელობითი პოზიციის ამის საფუძველზე დახასიათება.

²⁸ ეს აზრი გამოთქმულია რამდენიმე ავტორის მიერ, მაგ.: P. Walters, *The Text of the Septuagint: its Corruption and their Emendation*, Cambridge 1973; E. Tov, *The Impact of the Septuagint Translation of the Torah on the Translation of the other Septuagint*, Brill. 1999. სექსტუაგინტის ამ აზრის მიმართ ბარი (Typology, 310). იხ. Olofsson, 26-28.